



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



ოქმი: ო65.6522168001

თარიღი: 17/06/2022

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი
სხდომის ოქმი N 7

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 16. 06. 2022 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიძე, შოთა გიორგაძე, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, თეონა ადვიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი, კობა ძაგნიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით სარძეიშვილი, გრიგოლ მაჭარაძე, ტარიელ ბარამიძე, ალექსანდრე მუჟაგანაძე, ბიჭიკო პაიკიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი -

ლუიზა ჯოგლიძე;

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე;**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერი - ალექსანდრე გოგორიშვილი;

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია**;

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **მიხეილ სვანაძე**;

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 12⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2021 წელში შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

მომხსენებელი: ალექსანდრე გოგორიშვილი

2. „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: ივანე მამფორია

3. „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N 28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: მიხეილ სვანაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, მაისის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

5. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულში ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურში რეორგანიზაციის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით გაბუნია

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხსენეს:

მომხსენებელმა ალექსანდრე გოგორიშვილმა დამსწრე საზოგადოებას სთხოვა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ უკრაინის ომში დაღუპულთა ხსოვნისთვის, შემდეგ კი ვრცლად ისაუბრა 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. მან დეტალურად მიმოიხილა მერიის ყველა სამსახურის და ყველა ა (ა)იპ -ის მიერ გაწეული მუშაობა (იხილეთ: დანართი N2).

პირველი საკითხის მოსმენის შემდეგ საკრებულოს წევრმა დავით კაკაბაძემ დატოვა დარბაზი.

სიტყვის გამოსვლის შემდეგ საკრებულოს წევრებმა კითხვებით მიმართეს მერს.

ეთერი ჭიჭინაძე: „მივესალმები ყველა წამოწყებულ საქმეს, რაც კეთდება ჩვენი ქალაქის გასალამაზებლად... ბატონო ალექსანდრე, მაინტერესებს 1. ქუჩების რებილიტაცია, რომელიც დაწყებულია ვანის შემოსასვლელიდან სადამდე გაგრძელდება, რომელი ქუჩებია კიდევ ჩასმული ამ პროექტში? 2. თუ იგეგმება ციხესულორის ამბულატორიის სარემონტო სამუშაოები, რომელიც ძალიან ავარიულ მდგომარეობაშია?“

ალექსანდრე გოგორიშვილი: „ხელშეკრულებები იდება მუშაობის პროცესში; ვფიქრობთ, ეს რეაბილიტაცია გაგრძელდება თავისუფლების ქუჩაზე მდინარე ჭიშურაზე მდებარე ხიდამდე, ასევე ზედავანის და სოლომონ მეორეს ქუჩის მიმართულებით და გვინდა, რომ რეაბილიტაციაში მოხვდეს გ. ჭანტურიას ქუჩა მთლიანად. რაც შეეხება ციხესულორის ამბულატორიას, ის შენობა ავარიული და ამორტიზირებულია; ვეცდებით სხვა შენობაში გადავიტანოთ ან მოვახერხებთ ამ შენობის რემონტს.“

შალვა ლორთქიფანიძე: „მაინტერესებს თუ იგეგმება სეპტიკის მანქანის შეძენა? მოგეხსენებათ, რომ არსებული მანქანა ტექნიკურად გაუმართავია, ხშირად არ მუშაობს.“

ალექსანდრე გოგორიშვილი: „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მანქანა გარემონტებულია და ახალი მანქანის შეძენა ამ კუთხით არ იგეგმება, თანხების არქონის გამო. თუმცა მუნიციპალიტეტი საჭიროებს ახალი ნაგავმზიდების (ერთი ან ორი ერთეული) შეძენას, რისთვისაც შეიძლება საჭირო გახდეს სესხის აღება.“

გიორგი ივანიძე: „მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერს და მივესალმები იმ სამუშაოებს, რაც კეთდება მუნიციპალიტეტში საგზაო თუ სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით... ცალსახად დადებითად ვაფასებ მერის მუშაობას და მის ანგარიშს... აქვე ერთი საკითხი მინდა გამოვყო - როდის მოხდება ქ. ვანის ცენტრში მდებარე ნინო ხურციძის სახელობის საჭადრაკო სკოლისთვის კანალიზაციის პრობლემის მოგვარება?..“

ალექსანდრე გოგორიშვილი: „მოგეხსენებათ, რომ ქალაქს ფაქტიურად არ აქვს საკანალიზაციო სისტემა, რის გამოც გვიხდება ინდივიდუალური სეპტიკების მოწყობა... საჭადრაკო სკოლის შემთხვევაში დგას სეპტიკის მოსაწყობი ადგილის პრობლემა, რაც უნდა გადაიჭრას აუცილებლად უმოკლეს ვადაში... აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გერმანელი პარტნიორები უკვე აპროექტებენ ქალაქ ვანსა და მიმდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში (სალხინო, დიხაშნო, ზედავანი, ციხესულორი, შუამთა) საკანალიზაციო სისტემის კეთილმოწყობის სამუშაოებს, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყება...“

სხვა შენიშვნები და შეკითხვები არ გამოთქმულა. სიტყვით გამოსვლის დასასრულს ალექსანდრე გოგორიშვილმა მადლობა გადაუხადა საკრებულოს თანამშრომლობისათვის და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ერთობლივად უამრავი სასიკეთო საქმის გაკეთება მოხერხდება.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს მიმართა წინადადებით მერის ანგარიში შეფასდეს დადებითად და კენჭისყრაზე დააყენა შესაბამისი განკარგულების პროექტი:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2021 წელში გაწეულ მუშაობის ანგარიშის დამტკიცების შესახებ“;

განკარგულება N გ-65.65221673

მოისმინეს :

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 თებერვლის N 5 დადგენილებაში - „ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 11 მაისის N 13 დადგენილებით შეტანილი ცვლილების საბიუჯეტო პროგრამაში (06 02 16 კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება) ასახვის და აგრეთვე ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის N 9 დადგენილებაში - „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 13 აპრილის N 12 დადგენილებით შეტანილი ცვლილების საბიუჯეტო პროგრამაში (05 01 01 სპორტის განვითარება და პოულარიზაცია) ასახვის საჭიროებით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

დადგენილება N14

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვხაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N 28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში ცვლილება არის შემდეგი: ცერემონიური დამბლით დაავადებულ ბავშვებს ერთჯერად დახმარებასთან ერთად, რომელიც შეადგენს 500(ხუთასს) ლარს, ივლისის თვიდან დაენიშნებათ ყოველთვიური დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N 28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

დადგენილება N15

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, მაისის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022 წლის 1 ივნისის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ივნისის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 675 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, მაისის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

განკარგულება N გ-65.6522167001

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულში ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურში რეორგანიზაციის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერია ითხოვს საკრებულოდან თანხმობას რეორგანიზაციის გამოცხადებაზე, კერძოდ: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურში შეიქმნება ორი განყოფილება და დაემატება უცხო ენის სპეციალისტის ერთი სამტატო ერთეული

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე - 24

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულში ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურში რეორგანიზაციის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

განკარგულება N გ-65.65221672

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

